პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 120 (4114)

1970 წ. 21 ივნისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ

საქართველო ტრადიციით სპორტული რესპუბლიკაა. მის სპორტსმენებს არაერთხელ უსახელებიათ ჩვენი სამშობლო უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე, გამხდარან მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირის, ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები. სსრ კავშირის ხალხთა ოთხივე სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ნაკრები გუნდი საპატიო მეხუთე ადგილზე გამოდიოდა მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ლენინგრადის გუნდების შემდეგ.

ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადამდე სულ ერთი წელი დარჩა, რესპუბლიკის წამყვანი სპორტსმენებისა და მათი აღმზრდელების წინაშე დგას სერიოზული ამოცანა — არ დათმონ მოპოვებული პოზიციები, რაც შეიძლება უკეთ მოემზადონ ამ შეჯიბრებისათვის. მომავალი სპარტაკიადა ბევრად გამოირჩევა წინა სპარტაკიადებისაგან. ახლა მოზრდილი სპორტსმენები 23 სახეობის სპორტში იასპარეზებენ, ხოლო ჭაბუკები — 8 სახეობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა 19 ივნისს გამართა თათბირი საქართველოს მწვრთნელებთან და ნაკრები გუნდების ხელმძღვანელ შემადგენლობასთან, რომლებიც ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისათვის.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ვ. სიხარულიძემ. თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მძლეოსნობის მთავარი მწვრთნელი რ. ი. ტრაპაიძე, რესპუბლიკის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე ი. ი. სარაჯიშვილი, საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ა. ს. მეიფარიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მასობრივი და წყალჯომარდობის სახეობათა სპორტის განყოფილების უფროსი ს. შ. ჯაიანი, რესპუბლიკის მცურავთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ლ. ა. იოაკიმიდი, საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. ვ. როგავა, რესპუბლიკის სასტენდო სროლის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ზ. ბ. მაჩხანელი და საქართველოს კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ა. ვ. ძეკონსკი.

ორატორებმა მთავარი ყურადღება მიაქციეს იმას, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდები ცალკეულ სახეობათა სპორტში დაკომპლექტებული არიან კანდიდატებით. თვითეულ კანდიდატს აქვს მომზადების ინდივიდუალური გრაფიკი. მათ შექმნილი აქვთ წვრთნის ყველა პირობა. მაგრამ არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს. ნაკლოვანებათა გათვალისწინება და ინტენსიური მუშაობა შესაძლებლობას მისცემს ქართველ სპორტსმენებს წარმატებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, მოიპოვონ დიდი წარმატებანი.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. დ. ჭიკაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე. (საქინფორმ).

## 20

◆ ტამპერე, 20 ივნისი. მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა ტალინელი ტ. ლეპიკი. მან სიგრძეზე ხტომაში 782 სმ აჩვენა და გამარჯვება გაინაღდა. შუბის ტყორცნაში იმარჯვა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, ფინელმა პ. ნევალამ — 84,98 მ.

◆ დე-მოინი, 20 ივნისი. აიოვას შტატის დედაქალაქში გამართულ ამერიკელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები. პ. მატცდორფმა გადალახა 216 სმ სიმაღლე, პ. გიბსონმა 120 იარდზე თარჯრბენში აჩვენა 13,6 წამი, კ. ზალბმა ბირთვი ჰკრა 19,46 მეტრზე.

◆ ვარშავა, 20 ივნისი. ი. კუსოჩინსკის მემორიალში 400 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა რიგელმა მძლეოსანმა ქალმა ა. დუნდერემ — 54,5. კიეველი თ. პანგელოვა პირველი იყო 1500 მეტრზე რბენაში — 4.24,3. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენა მოიგო ვ. ვან დენ ბერგმა — 11,2. ეს შედეგი ჰოლანდიის ახალი რეკორდია ქალთა შორის. ვაჟებში სიგრძეზე ხტომაში პირველი იყო იაპონელი ხ. იამადა.

## ა. ანდრეიკო — ი. კუპერმანი

მონტე-კარლო, 20 ივნისი. მსოფლიოს უძლიერესი მოშაშეები ეპაექრებოდნენ ერთმანეთს ერთადერთი საგზურისთვის, რომელიც მსოფლიო ჩემპიონ ა. ანდრეიკოსთან შეხვედრის უფლებას იძლეოდა. შეჯიბრება თავიდანვე დაძაბული გამოდგა. გამარჯვებულის საკითხი გადაწყვიტა უკანასკნელმა, მე-18 ტურმა. ჰოლანდიელ სეიბრანდსისა და საბჭოთა ოსტატ განტვარგის ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი იყო ფიქსირებული კუპერმან — იზარის პარტიაში. საბოლოოდ, ორმა სპორტსმენმა — კუპერმანმა და სეიბრანდსმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს — 12-12. პირველობა მიენიჭა საბჭოთა დიდოსტატს, რომელსაც გაცილებით უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა.

ამრიგად, გაისად ა. ანდრეიკოს მსოფლიო ჩემპიონის სახელს შეეცილება ი. კუპერმანი.

## ბატუტი, ბატუტი...




ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, რუსთავის, ქუთაისისა და გორის გუნდებმა. ტურნირზე გამოირკვა, რომ ნორჩ აკრობატთა წინაშე მწვავედ დგას ბატუტის პრობლემა. როგორც წესი, საკავშირო შეჯიბრებებში აკრობატიკის ამ სახეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და საერთო-გუნდურ შეფასებაში აქ დაწერილი ქულები ხშირად შედეგებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს. წლევანდელი შეჯიბრების მონაწილეებმა ბატუტზე დაბალი შედეგები აჩვენეს. მაგრამ ამაში ბრალი ნორჩ სპორტსმენებს როდი მიუძღვით. საქმე ის არის, რომ რესპუბლიკაში ვარჯიშისთვის ვარგისი სულ ორი-სამი ბატუტი თუ მოიძებნება.

ახლა თვით შეჯიბრების შედეგების შესახებ. გუნდურ ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმო თბილისის ნაკრებმა — 663,28 ქულა. II ადგილზე გავიდნენ აჭარის აკრობატები (593,625), III — აფხაზეთის წარმომადგენლები (586,73). მართალია, გორელმა სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათი გუნდის წევრებმა არც თუ ცუდი მომზადება გვიჩვენეს. გვინდა გამოვყოთ რამდენიმე სპორტსმენი, რომლებმაც სპეციალისტთა ყურადღება დაიმსახურეს. ესენი არიან მ. სანაძე (აჭარა), ა. პოლოსიანი (აფხაზეთი), ქ. ოგანეზოვა და ე. ბითაძე (ორივე — თბილისი).

ცალკეულ სახეობებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**ჭაბუკები.** **ძალისმიერი წყვილები** — 1. ვ. გავრილოვსკი და დ. რაშიდოვი (თბილისი) — 104,65 ქულა, 2. ს. ციციაშვილი და ა. გიორგაძე (ქუთაისი) — 103,8, 3. დ. ბაზაზიანი და ა. ჩიჯავაძე (აჭარა) — 97,85; **ხტომები** — 1. მ. სანაძე (აჭარა) — 53,0, 2. ი. აჩკინაზი (აჭარა) — 52,2, 3. ვ. არისთავა (აფხაზეთი) — 52,95; **ბატუტი** — 1. ვ. ბეიგერი (რუსთავი) — 42,4, 2. ვ. არისთავა (აფხაზეთი) — 34,0, 3. გ. კალაიჯიანი (აფხაზეთი) — 32,0; **ჯგუფური ვარჯიში** — 1. თ. ბუზიაშვილი, გ. ზაალიშვილი, ჯ. გოჩიაშვილი და ტ. მღებრიშვილი (თბილისი) — 225,7, 2. ლ. რუდაკოვი, ვ. პავლიჩენკო, ვ. სიდოროვი და ს. ბადურიანი (აჭარა) — 140,0, 3. ა. თენეიშვილი, ზ. მილაძე, ს. ნუგზარაშვილი და ვ. გაგუა (რუსთავი) — 134,15.

**გოგონები.** **ხტომები** — 1. ა. პოლოსიანი — 55,8, 2. ნ. გარკუშიანი — 54,9, 3. მ. ტყებუჩავა — 53,75 (სამივე — აფხაზეთი); **ბატუტი** — 1. გ. ოსიპენკო (აფხაზეთი) — 46,4, 2. ს. ჩარკრუბიანი (აჭარა) — 42,6, 3. ა. კარაკულიანი (აჭარა) — 35,44.

**შერეული წყვილები** — 1. ქ. ოგანეზოვა და ე. ბითაძე (თბილისი) — 106,1, 2. ე. ჩერტკოვა და ე. მურადიანი (რუსთავი) — 67,55, 3. ზ. კვირკველია და ვ. გონჩარენკო (აფხაზეთი) — 63,35.

თ. რევია.

## მასპინძელთა ამჯერად უპირატესობით

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის დარბაზში ხუთი დღის მანძილზე მასპინძლობდა საქართველოს მოსწავლეთა XXII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებას მაგიდის ჩოგბურთში. სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო სახელისთვის გოგონათა და ჭაბუკთა 8-8 გუნდი იბრძოდა. შეჯიბრება ტარდებოდა ორ ასაკობრივ ჯგუფად. თითოეული გუნდის შემადგენლობაში 2-2 გოგონა და ჭაბუკი გამოდიოდა.

უმცროსი ასაკის გოგონათა (1957—1958 წლებში დაბადებულები) ფინალურ შეჯიბრებაში ერთმანეთს შეხვდნენ აჭარისა და თბილისის გუნდები. ბათუმელებმა მშრალი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს თბილისის ნაკრები. III ადგილზეა რუსთავის გუნდი, რომელმაც სძლია სამხრეთ ოსეთის ნაკრებს — 3:2.

საინტერესო გამოდგა უფროსი ასაკის გოგონათა ტურნირი (1953—1955 წლებში დაბადებულები). აქაც ფინალში კვლავ აჭარისა და თბილისის მაგიდის ჩოგბურთელები ვიხილეთ. მხოლოდ მეხუთე, გადამწყვეტმა პარტიამ გამოავლინა გამარჯვებული. ანგარიშით 3:2 ბრძოლა მოიგეს ბათუმელებმა. III ადგილზე გავიდნენ სამხრეთ ოსეთის ჩოგბურთელები.

უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ქუთაისი, 2. აჭარა, 3. თბილისი.

უფროსი ასაკის ჭაბუკთა შეჯიბრებაში აჭარის გუნდმა შესანიშნავად იასპარეზა და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა. II ადგილზე გავიდა რუსთავის გუნდი, ხოლო III — თბილისის კოლექტივი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გოგონათა შორის საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა აჭარის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები. ჭაბუკთა შორისაც I ადგილი მოიპოვა აჭარის ნაკრებმა. II-III ადგილები შესაბამისად გაინაწილეს თბილისისა და რუსთავის გუნდებმა.

გთავაზობთ პირადი შეჯიბრების პრიზიორთა სამეულებს:

**უმცროსი ასაკის გოგონები:** 1. ჟ. მაისურაძე (აჭარა), 2. ლ. კარაპეტიანი (აჭარა), 3. ნ. ლოპატინა (თბილისი); **უფროსი ასაკის გოგონები.** 1. გ. ლევინა (აჭარა), 2. ნ. გილელსი (თბილისი), 3. ლ. კაპანაძე (თბილისი); **უმცროსი ასაკის ჭაბუკები:** 1. მ. კაპანაძე (ქუთაისი), 2. ზ. უკლება (აჭარა), 3. ვ. ტიბილოვი (სამხრეთ ოსეთი); **უფროსი ასაკის ჭაბუკები:** 1. გ. სარხოიანი (აჭარა), 2. ი. ეფიმოვი (თბილისი), 3. გ. გუგუშვილი (აჭარა).

ქების ღირსია აჭარის ნაკრები გუნდების მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კ. გუგუშვილი, რომელმაც კარგად მომზადებული მაგიდის ჩოგბურთელები გამოიყვანა.

ო. მურვანიძე.



თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში რამდენიმე დღე მიმდინარეობდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა შეჯიბრება.

ს უ რ ა თ ზ ე: ნორჩ მოჭადრაკეთა სარბიელი.

მ. ზარგარიანის ფოტო.






# ხერგიანის მემკვიდრეები

შარშან საბჭოთა მთამსვლელთა ოჯახმა დიდი დანაკლისი განიცადა: დოლომიტის ალპებში, სუ-ალტოზე ასვლის დროს დაიღუპა სახელგანთქმული „კლდის ვეფხვი" მიხეილ ხერგიანი. ამ მოულოდნელმა უბედურებამ განსაკუთრებით დასცა თავზარი ხერგიანის ორ საუკეთესო მოწაფეს — ლადო გურჩიანსა და ირაკლი გელდიაშვილს. როცა თავიანთ მოძღვარსა და მეგობარს უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ, მათ ფიცი დადეს, რომ ღირსეულად გააგრძელებდნენ ხერგიანის საქმეს, იბრძოლებდნენ ოსტატობის იმ დონის მისაღწევად, რა დონეზეც იდგა მათი სახელგანთქმული თანამემამულე — ოთხასზე მეტი მწვერვალის დამპყრობი, კლდეზე მცოცავთა პირველ საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული.

მათ უკვე შეასრულეს პირობა — სსრ კავშირის II ჩემპიონატში, რომელიც იალტის მახლობლად ჩატარდა, ოქროს მედლები მოიპოვეს წყვილთა შეჯიბრებაში.

მეგობრებმა მაშინ დაიფიცეს: თავს არ დავზოგავთ, რათა კლდეზე ცოცვა შეიყვაროს ახალგაზრდობამო. მართლაც, ლადო და ირაკლი არა მარტო თვითონ არიან კარგი ოსტატები, არამედ თავის მოწაფეებსაც დიდი მონდომებით ასწავლიან კლდეზე ცოცვის საიდუმლოებას. პირველი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს და ამ სასწავლებლის სტუდენტებს ავარჯიშებს, მეორე კი თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან არსებული უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის კლდეზე ცოცვის განყოფილების მსმენელებს ამეცადინებს (სხვათა შორის, ეს სკოლა საბჭოთა კავშირში პირველია, რომელსაც კლდეზე ცოცვის განყოფილება აქვს). განყოფილება 1968 წელს გაიხსნა მიხეილ ხერგიანის აქტიური მონაწილეობით. იგი გახლდათ ამ განყოფილების პირველი ხელმძღვანელიც. სპორტსმენთა სასწავლო „სტადიონი" იყო თბილისის ბოტანიკური ბაღის კლდეები და ლელვთახევი.

ამას გარდა, უმაღლეს სასწავლებლებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, თბილისის სხვა დაწესებულებებში ამ სახეობის სექცია კიდევ უფრო შეივსო. საუკეთესო კლდეზე მცოცავებმა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის კლდეზე ცოცვის განყოფილების საგზურები მიიღეს.

მეცადინეობას ატარებენ გამოცდილი მთამსვლელები — სპორტის ოსტატები ი. გელდიაშვილი, თ. ბაქანიძე, პ. გვარლიანი, უფროსი მწვრთნელია ნ. კანკავა. ახლა განყოფილებაში 24 საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის კლდეზე მცოცავია. მათ შორის არიან სპორტის ოსტატებიც და პირველთანრიგოსნებიც. ზამთრობით მათი წვრთნა თალიან ცოტათი განსხვავდება ტანმოვარჯიშეთა ვარჯიშისგან, მაგრამ, როგორც კი თბილი დღეები დადგება, სპორტსმენები ბოტანიკური ბაღის კლდეებზე გადაინაცვლებენ ხოლმე. ზაფხულში მათ ელით ბაკანი „აილამა" და დიდი კავკასიონის მწვერვალები.

კლდეზე ცოცვის განყოფილება ორი წელია არსებობს. ასე ცოტა ხნის მანძილზე მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ ის, ვისაც თავდავიწყებით უყვარს არჩეული სახეობა და გამუდმებით ცდილობს მის ყველა საიდუმლოს დაეუფლოს, ოსტატობას აუცილებლად მიაღწევს. შ. კოკოშვილი, შ. ელისაშვილი, თ. ქიტუაშვილი, ზ. ქიქოძე, ლ. რომაშკინა სხვებისთვის მაგალითად გამოდგებიან. აქ უთუოდ უნდა მოვიხსენიოთ ლორეტა ხერგიანი — მიშას და. იგი სულ რამდენიმე თვის წინ ჩამოვიდა სვანეთიდან და თბილისის უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ლორეტა სერიოზულად გაიტაცა კლდეზე ცოცვამ და შედეგმაც არ დააყოვნა — შეუპოვარი, ქურციკივით მარდი და მოქნილი გოგონა ახლახან თბილისის ჩემპიონი გახდა. ხერგიანის გვარი კვლავ გამოჩნდა კლდეზე მცოცავთა შეჯიბრების ოქმში. უფროსი ძმის საქმეს არ ღალატობს 17 წლის ბექა ხერგიანიც. მისი შედეგები, მართალია, ჯერჯერობით მოკრძალებულია, მაგრამ ნიჭიერ სპორტსმენს საიმედო მომავალი აქვს.

...მაშ ასე, მიშა ხერგიანის მემკვიდრეებს იერიში მიაქვთ კლდეებზე.

**ზ. ქვათაძე.**

* * *

სურათებზე: კედელს ებრძვის თ. პაპუაშვილი. ვარჯიშობენ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან არსებული უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის კლდეზე ცოცვის განყოფილების მსმენელი გოგონები. ახლა ისინი მაყურებლები არიან. დაშვება.

ავტორის ფოტოები.

# ასე არ უნდა ვლაპარაკობდეთ

„ენა არ გაწყენს არც ერთი,
უნდა იცოდე რამდენიც;
ოღონდ არ უნდა დაჰკარგო
ქართული სიტყვის ნათელი."

ოთახში შვიდნი ვიყავით, შვიდივე მოფარიკავე — ოთხი საქართველოს, ხოლო სამი აზერბაიჯანის წარგზავნილი. შეჯიბრება ახალი დამთავრებული გვქონდა და ძილის წინ მეგობრული საუბრით ვიქცევდით თავს.

ვლაპარაკობდით ასპარეზობის შედეგებზე. საუბრისას ხანდახან ერთმანეთს ქართულად გადავულაპარაკებდით. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ამ სიტყვებს თარგმნა არ სჭირდებოდა, იმიტომ კი არა, რომ აზერბაიჯანელმა მეგობრებმა ქართული იცოდნენ, უბრალოდ, ყოველი სიტყვა მათთვის ისედაც გასაგები იყო. როცა ამ საოცარ ამბავს დავუკვირდი, მივხვდი, რომ ჩვენი საუბარი ნაკლებად ჰგავდა ქართულ ენას. ინტონაცია და წინადადებების კონსტრუქცია ქართული იყო, მაგრამ სიტყვები სხვა ენიდან გვქონდა ნასესხები. ეს ენა ჩვენც კარგად ვიცოდით და აზერბაიჯანელებმაც.

სამწუხაროდ, ჩვენი თანამემამულენი სწორედ ასე ლაპარაკობენ სპორტული შეჯიბრებებისა თუ წვრთნის დროს და, უბრალოდ, ერთმანეთთანაც. ეს არც ქართული ენაა, აღარც რუსული... ერთი კი ცხადია: ამ ენაზე არ უნდა ვლაპარაკობდეთ. ამის შესახებ ბევრი ფელეტონი და კრიტიკული წერილია დაწერილი, მაგრამ საქმეს მაინც ნაკლებად ეშველა.

ჩვენ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვეკიდებით რუსულ ენას. აზრი არა აქვს იმ უდავო ჭეშმარიტების მტკიცებას, თუ რაოდენ საჭიროა მისი ცოდნა, მაგრამ რუსული სიტყვების უადგილო და მექანიკური გადმოტანა ქართულ მეტყველებაში, რბილად რომ ვთქვათ, მიუტევებელია. ამას ზიანი მოაქვს როგორც ერთი, ასევე მეორე ენის ღირსებისა და სიწმინდისთვის.

ქართველ სპორტსმენთა, მწვრთნელთა და გულშემატკივართა ლექსიკონში „მტკიცედ" დაიმკვიდრა ადგილი „ატაკამ" (იერიშს ნიშნავს), „პრიომმა" (ილეთი), „ტრენერმა" (მწვრთნელი), „ფუტბოლისტმა" (ფეხბურთელი), „სუდიამ" (მსაჯი), „ნაპადენიამ" (თავდასხმის ცნების გამოსახატავად), და ა. შ.

საბედნიეროდ, პრესა და ლიტერატურა დაზღვეულია მსგავსი შეცდომებისგან, მაგრამ ხალხმრავალ სპორტულ სანახაობებზე, საზეიმო ცერემონიალებზე, სპორტსმენთა დაჯილდოების დროს, ტელევიზიის ეკრანიდან ზემოთ დასახელებულ ენობრივ „მარგალიტებს" იშვიათად როდი გაიგონებთ.

ვინ არის ამაში დამნაშავე? ამის შესახებ დიახაც უნდა იმსჯელოს რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ, საერთოდ ყველამ, ვისაც გული შესტკივა ქართული ენის სიწმინდის, ქართული სპორტის ღირსებისთვის.

წარმოიდგინეთ თბილისის ერთ-ერთი უდიდესი სტადიონი, საინტერესო საფეხბურთო მატჩი, რომელსაც თვალყურს ადევნებს ათიათასობით მაყურებელი. დამთავრდა პირველი ტაიმი. შესვენების დროს ცენტრალური ტრიბუნების წინ მწკრივდება ჭაბუკ ფეხბურთელთა ასპარეზობაში გამარჯვებული გუნდი. ადამიანი, რომელიც კარგა ხანია ემსახურება სპორტს, აჯილდოებს გუნდის წევრებს და რამდენიმე სიტყვით მიმართავს მათ. ამ რამდენიმე სიტყვაში რამდენიმე ენობრივი შეცდომაა (ასე მაგალითად, მწვრთნელს ეს ადამიანი „ტრენერს" უწოდებს). ეს ესმის ყველას, როგორც მაყურებელს, ასევე სპორტსმენებსაც. ასეთი ფაქტი სინამდვილეში მოხდა. ვინ რას იტყოდა, მხოლოდ ერთხელ რომ მომხდარიყო. ეს საყვედური შეგვიძლია ვუთხრათ კომენტატორებს, მსაჯ-ინფორმატორებს, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს.

ანდა, როგორ არ ვუსაყვედუროთ თბილისის ერთ-ერთი სტადიონის მესვეურებს, რომლებიც ტრიბუნის რიგის მნიშვნელობით მხოლოდ „რიად"-ს წერენ, ქართული წარწერები კი რატომღაც დავიწყებიათ? რად უნდა გაგვიკვირდეს ამის შემდეგ, როცა სტადიონზე ზოგიერთი მაყურებელი რიგს ეძებს და გვკითხება: „ეს რომელი „რიადია"?", შენს პასუხზე ესა და ეს რიგია, ცოტა არ იყოს, გაკვირვებით შემოგხედავს...

ჩვენ განათლებულ საუკუნეში ვცხოვრობთ. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. მაშ საიდან იღებს სათავეს (ნუ მოვერიდებით ამ სიტყვებს) ის უვიცობა და უპასუხისმგებლობა, რომელიც ზოგიერთი ადამიანისთვის მშობლიური ენის ღირსებისა და სიწმინდის შელახვის იარაღად ქცეულა? სპორტი მხოლოდ ჯანმრთელობის გაკაჟების უბრალო საშუალება როდია. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. სპორტული ასპარეზობა თუ სანახაობა უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს არა მარტო შეჯიბრების მონაწილეებს, არამედ მის მილიონობით გულშემატკივარსაც. არ გვეგულება ადამიანი, რომელიც ან პრაქტიკულად არ მონაწილეობდეს სპორტში, არ ვარჯიშობდეს, ან დაინტერესებული მაინც არ იყოს სპორტით. ადამიანებს უყვართ სპორტი, მასზე ლაპარაკობენ ზოგჯერ იმაზე მეტს, ვიდრე საჭიროა. ამ სიყვარულმა ზიანი არ უნდა მიაყენოს მშობლიური ენის სიწმინდეს.

**ა. გოგელია,**
სპორტის ოსტატი.

## ლაგოდეხი

დამთავრდა „კოლმეურნის" რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 8 სახეობა შედიოდა. კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობა ვარდისუბნის კოლმეურნეობის ნაკრებმა.

**ი. ჯაპარიშვილი.**

## ჩოხატაური

მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა ორ ჯგუფად ჩატარდა. I ჯგუფში გამოდიოდნენ საშუალო სკოლები, II ჯგუფში — 8-წლიანი სკოლები. საშუალო სკოლებში პირველობა დაისაკუთრა პირველმა სკოლამ, 8-წლიან სკოლებში ყველას აჯობეს ბუკნარელმა მოსწავლეებმა.

**დ. გურგენიძე.**

# ტიბაანის მთის ფერდობზე

სიღნაღში ჩატარდა ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოტოკროსი (აღმოსავლეთის ზონა). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ახალციხის, ახალქალაქის, გორის, რუსთავის, სიღნაღისა და თელავის ავტო-მოტო კლუბები. (გუნდების შემადგენლობაში 3-3 ვაჟი და თითო ქაბუკი შედიოდა), აგრეთვე, ბოგდანოვკის, ბოლნისის, გარდაბნის, გურჯაანის, ლაგოდეხის, წითელი წყაროს სპორტულ-ტექნიკური კლუბების კოლექტივები (2-2 ვაჟი და თითო ქაბუკი).

შეჯიბრების ტრასა მოეწყო ტიბაანის მთიან კალთებზე, სადაც უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. გამარჯვებულთა შედეგები სამი ცდის შემდეგ ვლინდებოდა. 1.200-მეტრიანი წრე მონაწილეებს 10-10-ჯერ უნდა შემოევლოთ.

ავტო-მოტოკლუბების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს რუსთავის, ახალციხისა და სიღნაღის კოლექტივებმა.

პირად ტურნირში 350-ანებით ასპარეზობა მოიგო კ. ბესპროზვანიმ (რუსთავი). მეორე იყო ა. გულიდოვი (სიღნაღი), მესამე — ვ. კრასნოვი (რუსთავი).

170-ანებით იმარჯვეს თ. ტატვინიძემ (რუსთავი), ე. ყურმელაშვილმა (ახალციხე) და ა. კუკუაშვილმა (სიღნაღი).

ჭაბუკები 175 კბ სმ-ის მოტოციკლეტებით ასპარეზობდნენ. აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა. რ. კარიბოვი (რუსთავი), ზ. მერაბიშვილი (გორი), დ. არტემიანი (ახალციხე).

სპორტულ-ტექნიკური კლუბების ტურნირში ყველას გარდაბნელებმა აჯობეს. II და III ადგილებზე ბოლნისისა და გურჯაანის კოლექტივები გავიდნენ.

პირადი ტურნირის ტექნიკური შედეგები. ვაჟები. 350-ანებით — პ. კალჩენკო (გარდაბანი), ვ. შონინი (ბოლნისი), ვ. ჩივილოევი (გარდაბანი), 175-ანებით — ვ. ბოგდანოვი (გარდაბანი), ფ. ზამედოვი (ბოლნისი), ტ. ქაჩლიშვილი (გურჯაანი). ჭაბუკები. 175-ანებით — ი. ელიზაროვი (გარდაბანი), ს. კარაპეტიანი (ბოლნისი), ი. ქაჩლიშვილი (გურჯაანი).

I-II ადგილებზე გასული გუნდები რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში იასპარეზებენ.

**ო. კიკნაველიძე,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## წერილის კვალდაკვალ

### „ოთხი წერილი — ოთხი გულისტკივილი"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 26 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ თბილისის მე-12 საშუალო სკოლაში გაკვეთილების დაწყებამდე ტარდებოდა დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ბოლო ხანს კი ეს სასარგებლო ღონისძიება მიივიწყეს.

როგორც რედაქციას თბილისის მე-12 საშუალო სკოლის დირექტორმა გ. ჩეჩელაშვილმა აცნობა, წერილში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. ამჟამად სკოლის შენობას უმატებენ ორ კორპუსს, რის გამოც ეზოში გამამხნევებელი ვარჯიშის ჩატარება შეუძლებელია. მშენებლობის გამო დანგრეულია სპორტული დარბაზიც. ახლო მომავალში სკოლაში დილის გამამხნევებელი ვარჯიშები განახლდება.

### „მადლი უმარილოდ"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 20 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ სურამის მინის ტარის ქარხანაში შესვენების დროს მუშა-მოსამსახურეებს საშუალება არ ჰქონდათ ჭადრაკი ეთამაშათ.

როგორც რედაქციას სურამის მინის ტარის ქარხნის დირექტორმა ა. ზაზიკაშვილმა აცნობა, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ამჟამად წითელი კუთხის კულტმუშაკს გადაეცა საჭირო რაოდენობის ჭადრაკის კომპლექტები და მიეცა მითითება შესვენების საათებში მსურველებს შეუქმნას პირობები ჭადრაკისა და შაშის სათამაშოდ.



# ვისია, ვისია ქალღმერთი?!

## ეს დღეც დადგა

დადგა ფეხბურთში IX მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დღე — 21 ივნისი. მეხიკოს „აცტეკას" სტადიონზე, 100 ათასზე მეტი იღბლიანის, ასეული მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე გამოვა ოქროს ქალღმერთის ხელის 2 მაძიებელი, 2 პრეტენდენტი, უძლიერესთა შორის უძლიერესნი — ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდები. მატჩის არბიტრია რ. გლეკნერი (გდრ).

4 წელიწადში ერთხელაა ასეთი ღირსსახსოვარი, ბრწყინვალე, დიდი საფეხბურთო დღე — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დღე. ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა ინტერესით მოველით ყველანი ამ თამაშის დაწყებას.

ფინალი — ფინალად, მაგრამ მას კიდევ ერთი „დამატებითი" ინტერესი ერთვის თან: გამარჯვებულს სამუდამოდ თან მიაქვს ფიფა-ს განსვენებული პრეზიდენტის ჟიულ რიმეს თასი — გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ოქროს ქანდაკება. საფეხბურთო სამყარო ამიერიდან ახალ პრიზს მიიღებს. როგორი იქნება იგი? არის რამდენიმე ვარიანტი, რამდენიმე წინადადება, მაგრამ ჩვენი აზრით, ყველას აჯობებს, თუ ფიფა შეინარჩუნებს ძველ იდეას — გამარჯვების ქალღმერთს და კვლავ გაიმეორებს მას, თუნდაც ახლებური ინტერპრეტაციით.

მოუთმენლად მოველით ფინალურ მატჩს. იგი თანამედროვე ფეხბურთის უკანასკნელი სიტყვა უნდა იყოს; გამოსახოს მისი უმაღლესი მიღწევები. ის, რაც დღემდე ვნახეთ მექსიკის სტადიონებზე, ის დაძაბული, შინაარსიანი, საინტერესო მატჩები, სრულ გარანტიას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფინალური მატჩი ბრაზილიისა და იტალიის გუნდების მონაწილეობით, ჩემპიონატის შეუდარებელი აპოთეოზი იქნება.

გვახსენდება ინგლისის ნაკრების წამყვანი მოთამაშის ბობი ჩარლტონის სიტყვები, რომლებიც მან სულ ახლახან წარმოთქვა: „ჩემს ხანგრძლივ სპორტულ ბიოგრაფიაში მახსოვს ათეულობით შემთხვევა, როცა შეიძლებოდა ხელების ჩამოშვება და დანებება. მაგრამ ეს არასოდეს გაგვიკეთებია და არც გავაკეთებთ. ახლანდელ ჩემპიონატში სულ ცოტა 5 ან 6 გუნდი იმსახურებდა უფლებას მსოფლიო ჩემპიონი ყოფილიყო, მაგრამ ყველას ერთად, სამწუხაროდ, არ შეუძლია ეს გააკეთოს. ე. ი. ვიღაცამ უნდა წააგოს..."

ჭეშმარიტად, ვიღაცამ უნდა წააგოს, ასეთია სპორტის ულმობელი კანონი. მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც.

განა შეიძლება დამარცხებული ეწოდოს იმავე ბ. ჩარლტონის გუნდს, რომელმაც უმაღლესი კლასის თამაში აჩვენა მექსიკაში?

განა შეიძლება დამარცხებული უწოდო გფრ-ის ნაკრებს, რომელმაც ასე ლამაზად დაამშვენა მსოფლიოს IX ჩემპიონატი და დაუვიწყარი მატჩები ჩაატარა?

იგივე შეიძლება ითქვას ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ურუგვაის ფეხბურთელებზე, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს გამარჯვების მოსაპოვებლად, არ დაზოგეს ძალები და საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურეს.

ამ ფონზე კვლავ და კვლავ სინანულის გრძნობას იწვევს სსრ კავშირის ნაკრების დამარცხება მეხიკოს სტადიონზე. განა საქმე იმაშია, რომ მსაჯმა თამაში არ გააჩერა მაშინ, როცა ჩვენი გუნდის კარის სიახლოვეს პრობლემატური მომენტი შეიქმნა და მას გოლი მოჰყვა? ეს მომენტი შეიძლება არც ყოფილიყო, მაგრამ საქმეს ეს არ ცვლის. განა საბჭოთა ნაკრები გამოიყურებოდა ისე, რომ შეეძლო გატოლებოდა ბრაზილიას, იტალიას, გფრ-ს, ურუგვაის, ინგლისსა და სხვებს? რა თქმა უნდა, არა. გუნდის თამაში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა მექსიკელებთან და ურუგვაელებთან მატჩებში. ნაკრებს მთელი მზადების პერიოდში არსებითად არა ჰყოლია სტაბილური, ძირითადი შემადგენლობა და გაუთავებელ ექსპერიმენტებსაც გაურკვეველი ხასიათი ჰქონდა.

ჩვენი ნაკრების გამოსვლაზე თავის დროზე ილაპარაკებენ სპეციალისტები, ჯერჯერობით კი მოვიყვანთ რამდენიმე ფეხბურთელის აზრს, რომლებმაც ამგვარად შეაფასეს გუნდის თამაში მექსიკაში:

(დასასრული მე-4 გვ.)



— მორჩა, ველარ იჭორავებთ ჩემზე: ხელიდან ხელში გადადისთ!..

გ. იაშვილის ნახატი.

## საფეხბურთო სუპერრეკორდები

ფეხბურთში რეკორდების რეგისტრაცია ოფიციალურად არ ხდება. საერთაშორისო ფედერაციას არ აინტერესებს სტატისტიკური ცნობები ჩემპიონატების მონაწილეებზე. ფიფა-ს მთავარი მიზანია გაარკვიოს 4 პრიზიორის ვინაობა და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს უშეცდომო მსაჯობა მთელი ჩემპიონატის მანძილზე.

მაგრამ სხვადასხვა სახის საფეხბურთო რეკორდების არაოფიციალური რეგისტრაცია მაინც სწარმოებს. მათი ინიციატორები მუდამ ჟურნალისტები იყვნენ. ფიფა თავდაპირველად სკეპტიკურად უყურებდა პრესის მუშაკთა საქმიანობას ამ დარგში, მაგრამ შემდგომში, ზოგიერთ ინიციატივას თვითონ ჩაუდგა სათავეში. ასე წარმოიშვა საფეხბურთო სუპერრეკორდები, რომელთაგან ორს დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ.

ვის, რომელ ფეხბურთელს ეკუთვნის მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობის აბსოლუტური რეკორდი? დღეს ოფიციალურადაა ცნობილი რეკორდსმენის გვარი. ფიფა-მ მას ამას წინათ სპეციალური ჯილდოც კი გადასცა. ეს რეკორდსმენია მექსიკის ეროვნული ნაკრების მეკარე კარბახალი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ყველა ომისშემდგომდროინდელ ჩემპიონატში უკანასკნელის გარდა.

აი როგორ გამოიყურება რეკორდსმენთა სია:

1. კარბახალი (მექსიკა) — 5 ჩემპიონატი, (1950, 54, 58, 62, 66 წ.წ.).
2. ჯალმა სანტოსი (ბრაზილია) — 4, (54, 58, 62, 66).
3. შნელინგერი (გფრ) — 4, (58, 62, 66, 70).
4. ზეელერი (გფრ) — 4, (58, 62, 66, 70).
5. პელე (ბრაზილია) — 4, (58, 62, 66, 70).
6. იაშინი (სსრ კავშირი) — 3, (58, 62, 66).
7. დიდი (ბრაზილია) — 3, (58, 62, 66).
8. გარინჩა (ბრაზილია) — 3, (58, 62, 66).
9. ჟილმარი (ბრაზილია) — 3, (58, 62, 66).
10. ნილტონ სანტოსი (ბრაზილია) — 3, (58, 62, 66).
11. ფინეი (ინგლისი) — 3, (50, 54, 58).
12. რაიტი (ინგლისი) — 3, (50, 54, 58).
13. ნოვაკი (ჩეხოსლოვაკია) — 3, (54, 58, 62).
14. პლუსკალი (ჩეხოსლოვაკია) — 3, (54, 58, 62).
15. კარდენასი (მექსიკა) — 3, (54, 58, 62).
16. დელ მურო (მექსიკა) — 3, (58, 62, 66).
17. გროშიჩი (უნგრეთი) — 3, (54, 58, 62).
18. დელფური (საფრანგეთი) — 3, (30, 34, 38).
19. მატრაი (უნგრეთი) — 3, (58, 62, 66).
20. ბ. ჩარლტონი (ინგლისი) — 3, (62, 66, 70).

შენიშვნა: სიაში შეყვანილია უშუალოდ მატჩებში მონაწილე სპორტსმენები.

• • •

რეგისტრირებულია რეკორდები ჩემპიონატების სნაიპერთა შორისაც. ცხრილში, რომელიც ფიფა-ს მიერაა რეკომენდებული, ადგილები განაწილებულია არა გოლების სიმრავლით, არამედ თითო მატჩში საშუალოდ გატანილი ბურთების რაოდენობით. (ფონტენს, მაგალითად, თავისი 13 ბურთი 6 მატჩში აქვს გატანილი, რაც საშუალოდ თითო შეხვედრაზე 2,16 გოლს უდრის. სწორედ ამიტომაა ბომბარდირთა სიაში I ადგილზე კოჩიში, რომელსაც თითო მატჩში 2,20 ბურთი გამოსდის). გთავაზობთ ამ სიასაც:

| | ბურთი | მატჩი | საშ. | წელი |
|---|---|---|---|---|
| 1. კოჩიში (უნგრეთი) | 11 | 5 | 2,20 | 1954 |
| 2. ფონტენი (საფრანგეთი) | 13 | 6 | 2,16 | 1958 |
| 3. სტაბილე (არგენტინა) | 8 | 4 | 2,00 | 1930 |
| 4. ზენგელერი (უნგრეთი) | 7 | 4 | 1,75 | 1938 |
| 5. ეუსებიო (პორტუგალია) | 9 | 6 | 1,50 | 1966 |
| 6. ლეონიდასი (ბრაზილია) | 7 | 5 | 1,40 | 1938 |
| 7. მორლოკი (გფრ) | 6 | 5 | 1,20 | 1954 |
| 8. პრობსტი (ავსტრია) | 6 | 5 | 1,20 | 1954 |
| 9. ნეედლი (ჩეხოსლოვაკია) | 7 | 6 | 1,16 | 1934 |
| 10. ადემირი (ბრაზილია) | 7 | 6 | 1,16 | 1950 |



## ისტორიიდან...

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ დღევანდელი ფინალისტები — ბრაზილიისა და იტალიის გუნდები სხვადასხვა წლებში უკვე ორ-ორჯერ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები და დღეს წყდება საკითხი, თუ ვინ უნდა მიიღოს ამ ორი გუნდიდან სამუდამო მფლობელობაში ოქროს ქალღმერთის ქანდაკება.

ეს სურათები ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ დღევანდელი მატჩის მონაწილეებთან გარკვეული დამოკიდებულება აქვს.







მარცხნივ თქვენ ხედავთ 1962 წლის ფინალური მატჩის დაწყების ცერემონიას. ბრაზილიელთა კაპიტანი მაურო ხელს ართმევს მსაჯს, საბჭოთა არბიტრს ნ. ლატიშევს (მარცხნიდან პირველი — ჩეხოსლოვაკიელთა კაპიტანი ნოვაკი).

მარჯვნივ: 1938 წლის ფინალური მატჩის დაწყების წინ ერთმანეთს ესალმებიან იტალიელთა კაპიტანი მეაცა (მარცხნივ) და უნგრეთის ნაკრების კაპიტანი შაროში.

# მსოფლიო ჩემპიონატი

მექსიკა 1970 ფინალი IX MEXICO

# ეს დღეს დადგა




დასასრული

ა. კავაზაშვილი: ჩვენ ვერ ვაჩვენეთ ის, რაც შეგვეძლია. მიმაჩნია, რომ არადამაკმაყოფილებლად გამოვედით მექსიკაში.

ბ. ევრიუჟიხინი: უხეიროდ ვითამაშეთ, ვერ შევასრულეთ ამოცანა.

ლ. იაშინი: ყველა ჩემპიონატში ჩვენ ძირითადად ერთი და იგივე დონეს ვაჩვენებთ. არ შეგვიძლია ვიბრძოლოთ მაღალი ადგილებისთვის.

გაურკვეველია მხოლოდ ა. ბიშოვეცის სიტყვები: „გუნდის თამაშს კარგ შეფასებას ვაძლევ: ყველა ცდილობდა, ყველას უნდოდა გამარჯვება. მაგრამ ზოგჯერ საქმეთა ვითარება ჩვენზე მაღლა დგას ხოლმე".

ის, ვინც დღეს ფინალში თამაშობს, უდავოდ ღირსია ამ უმაღლესი საფეხურის, ღირსია გამარჯვებისა. ძნელია იმის თქმა, თუ ვის შეიძლება კაცმა წინასწარ მისცეს უპირატესობა. თვით ფინალისტები ოპტიმისტურად არიან განწყობილი. ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ბრაზილიელთა ხელმძღვანელობა ასეთი განცხადებით გამოვიდა გაზეთში: „20 წელი ვუცდიდით ჩვენ იმ დღეს, რომ რევანში აგვეღო ურუგვაელებთან 1950 წელს განცდილი დამარცხებისთვის ფინალურ მატჩში „მარაკანას" სტადიონზე. და რახან ახლა ეს რევანში შედგა, ჩვენს ფეხბურთელებს აღარაფერი შეაფერხებს". დაახლოებით ასეთივე ტონით გამოდიან იტალიელებიც, რომლებიც თავიანთ სურვილებს ასეთ მოკლე ფორმებში გამოხატავენ: „გამარჯვება, მხოლოდ გამარჯვება. სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს".

არის სხვა, უფრო ფართო მასშტაბის დასკვნებიც. კერძოდ, ფეხბურთის რომელი სკოლა უფრო ძლიერია — ევროპული თუ ლათინური ამერიკისა? ყველა იმ აზრისაა, რომ ევროპული ფეხბურთი ახლა გაიზარდა, როგორც არასდროს და ბრწყინვალე ბრაზილიელი ფეხბურთელები რომ არა, იგი აუცილებლად იზეიმებდა გამარჯვებას მექსიკაში.

ნუ ვიჩქარებთ. ყველაფერი გაირკვევა დღეს: ვინ მოიგებს ჩემპიონის წოდებას, ვინ დაეუფლება სამუდამოდ ოქროს ქალღმერთს, ვინ გავა წინ პრინციპულ დავაში — სამხრეთ ამერიკა თუ ევროპა. სადაც ჯერჯერობით მდგომარეობა თანაბარია — 4:4.

დასასრულ, დავძენთ სტატისტიკურ მონაცემებს დღევანდელ ფინალისტთა ურთიერთობის ისტორიიდან. ბრაზილიისა და იტალიის ეროვნული ნაკრები გუნდები დღემდე ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და, უნდა ითქვას, ბრაზილიელებს უარყოფითი ბალანსი აქვთ: მათ მხოლოდ 1 მატჩი მოიგეს და სამჯერ დამარცხდნენ ბურთების უარყოფითი შეფარდებით 3:8. მსოფლიო პირველობათა გადამწყვეტ მატჩებში იტალია და ბრაზილია ერთმანეთს ერთხელ შეხვდნენ, 1938 წლის ნახევარფინალში. მაშინ გაიმარჯვეს იტალიელებმა — 2:1.

## 11 ს. 30 წ. და 21 ს. 50 წ.

მაშ ასე, დღეს ტელევიზიით ნახავთ 2 უმაღლესი დონის მატჩს. 11 საათსა და 30 წუთზე გადასცემენ გფრ — ურუგვაის შეხვედრის ჩანაწერს III ადგილისთვის.

21 საათსა და 50 წუთზე დაიწყება ფინალური მატჩის რეპორტაჟი ბრაზილიისა და იტალიის გუნდებს შორის.



## გასწორება

„ლელოს" წინა ნომერში დაბეჭდილ მასალაში „მიულერი არ ხუმრობს" დაშვებულია უზუსტობა: ბომბარდირთა სიაში VIII ადგილზე მყოფი რივა თამაშობს იტალიის ნაკრებში და არა ბრაზილიის გუნდში, როგორც ეს გაზეთშია აღნიშნული.




● ევროპის ჟურნალისტთა ნაკრებმა ფეხბურთისთვის უჩვეულო ანგარიშით (7:4) დაამარცხა სამხრეთამერიკელი კოლეგები. საბჭოთა ფოტორეპორტიორმა, მეკარე ა. ხომიჩმა მშვენივრად ითამაშა და მაყურებელთა საერთო მოწონებაც დაიმსახურა. ამ მატჩში ბურთზე პირველი დარტყმის უფლება მისცეს ქალს — ვენესუელელ ჟურნალისტს შილი კრისტალს.

● სიმღერებით, ყვავილებით გააცილეს გვადალახარელმა გულშემატკივრებმა ბრაზილიის ნაკრები. ამ ქალაქში ცხოვრება და თამაში ისე სასიამოვნო იყო ბრაზილიელი ფეხბურთელებისთვის, რომ მათ თხოვნით მიმართეს თავიანთი ქვეყნის პრეზიდენტს, რომ გვადალახარას სახელი ეწოდოს ბრაზილიის რომელიმე ქალაქს, ქუჩას ან მოედანს.

● როგორც ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიიდან იტყობინებიან, განათლებისა და კულტურის მინისტრმა უ. პასარინიუმ დეპუტატთა პალატაში განაცხადა: ბრაზილია თუ მოიხვეჭს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის სახელს, მთავრობა წამოაყენებს წინადადებას, რომ უმაღლესი საფეხბურთო ჯილდო — ოქროს ქალღმერთი შეცვალოს „პელეს თასმა".

● ფიფა-ს დისციპლინარულმა კომისიამ გააფრთხილა გფრ-ის თავდამსხმელი მიულერი, რომ იგი დაუყოვნებლივ იქნება გაძევებული მინდვრიდან თუ მიიღებს კიდევ ერთ გაფრთხილებას. როგორც ცნობილია, გერმანელ ფეხბურთელს აქტივში უკვე აქვს 2 გაფრთხილება.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი




### ჯუჯუნ...

მოსკოვში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ბაქოს „ნევთჩი".

შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 2:1.

უმაღლესი ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი „ა" კლასი

მდგომარეობა 21 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 13 | 8 | 5 | 0 | 16—3 | 21 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 12 | 8 | 2 | 2 | 14—6 | 18 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 13 | 5 | 7 | 1 | 17—9 | 17 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 13 | 7 | 3 | 3 | 12—4 | 17 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 13 | 5 | 6 | 2 | 16—8 | 16 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 13 | 4 | 6 | 3 | 14—8 | 14 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 13 | 4 | 6 | 3 | 9—5 | 14 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 13 | 4 | 6 | 3 | 12—12 | 14 |
| „კაირათი" (ალმა-ათა) | 12 | 4 | 5 | 3 | 18—11 | 13 |
| ასკ (კიევი) | 13 | 6 | 1 | 6 | 18—15 | 13 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 13 | 5 | 3 | 5 | 13—13 | 13 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 13 | 5 | 3 | 5 | 10—11 | 13 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 13 | 4 | 5 | 4 | 10—11 | 13 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 13 | 4 | 4 | 5 | 15—18 | 13 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 13 | 3 | 6 | 4 | 5—9 | 12 |
| „პამირი" (დუშანბე) | 13 | 3 | 5 | 5 | 12—15 | 11 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 13 | 4 | 3 | 6 | 7—13 | 11 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 13 | 4 | 2 | 7 | 12—15 | 10 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 13 | 2 | 6 | 5 | 7—10 | 10 |
| „დაუგავა" (რიგა) | 13 | 3 | 4 | 6 | 9—19 | 10 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 13 | 3 | 3 | 7 | 7—16 | 9 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 13 | 1 | 1 | 11 | 6—23 | 3 |

II ჯგუფი „ა" კლასი

### გათამაშების ცხრილი

II ზონა

მდგომარეობა 21 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ტულა) | 13 | 8 | 3 | 2 | 21—11 | 19 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 13 | 6 | 6 | 1 | 15—6 | 18 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 13 | 6 | 5 | 2 | 15—12 | 17 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 13 | 5 | 6 | 2 | 10—5 | 16 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 13 | 5 | 6 | 2 | 14—11 | 16 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 13 | 5 | 5 | 3 | 17—5 | 15 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 13 | 7 | 1 | 5 | 19—13 | 15 |
| „დინამო" (ბათუმი) | 13 | 5 | 5 | 3 | 11—9 | 15 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 13 | 5 | 5 | 3 | 13—15 | 15 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 13 | 5 | 4 | 4 | 14—8 | 14 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 13 | 5 | 4 | 4 | 14—10 | 14 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 13 | 4 | 5 | 4 | 17—16 | 13 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 13 | 3 | 6 | 4 | 11—12 | 12 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 13 | 4 | 4 | 5 | 11—12 | 12 |
| „დილა" (გორი) | 13 | 4 | 4 | 5 | 13—15 | 12 |
| „ვოლგა" (გორკი) | 13 | 4 | 4 | 5 | 13—17 | 12 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 13 | 4 | 3 | 6 | 13—19 | 11 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 13 | 2 | 7 | 4 | 10—16 | 11 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 13 | 2 | 5 | 6 | 6—9 | 9 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 13 | 2 | 5 | 6 | 13—20 | 9 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 13 | 2 | 3 | 8 | 11—19 | 7 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 13 | 0 | 4 | 9 | 4—25 | 4 |

## აუტსაიდერმა გაიმარჯვა

ცხინვალის „სპარტაკმა" ზედიზედ 3 მატჩი წააგო და ამის გამო „ბ" კლასის II ზონის სატურნირო ცხრილს ბოლოში მოექცა.

19 ივნისს ცხინვალელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს „ბ" კლასის დებიუტანტი — ვანის „სულორი". მატჩის პირველივე წუთები ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა და დამთავრდა იმით, რომ სტუმრების თავდამსხმელმა ტაბატაძემ ზუსტი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 1:0.

სპარტაკელებმა არ დააყოვნეს და მარცხს საპასუხო გოლით უპასუხეს. იგი მე-10 წუთზე გაიტანა ჟუკოვსკიმ ჯიჭოევის გადაცემიდან — 1:1. ასე დამთავრდა ტაიმი.

შესვენების შემდეგ სპარტაკელებმა მკვეთრად მოუმატეს ტემპს, რითაც ხელთ აიღეს თამაშის სადავეები. „სულორი" ენერგიულად იცავდა თავს და საკმაო წარმატებითაც, მაგრამ 73-ე წუთზე ქოქოევის მიერ მოწოდებულ კუთხურზე კარგად გავიდა ზ. თედეევი და თავით გაგზავნა ბურთი ვანელთა კარში — 2:1.

ამ ბურთმა შეხვედრის ბედი ცხინვალის „სპარტაკის" სასარგებლოდ გადაწყვიტა, თუმცა სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ შეუწყვეტიათ იერიშები, რომელთა დროსაც ავალიანმა და ჩომახიძემ ვერ გამოიყენეს გოლის გატანის რეალური შესაძლებლობანი.

ვ. მელქოევი,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ბ" კლასი

II ზონა

## ჩემპიონს გაუჭირდა

მოსკოვი, 20 ივნისი. გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა და გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერი, რიგის არმიელთა კოლექტივი. პირდაპირ უნდა ვთქვათ, ცსკა-ს თამაშმა გააქბილა გულშემატკივრები, რომლებიც ფავორიტის ლამაზ და იოლ გამარჯვებას ელოდნენ.

მოსკოველები მოედანზე ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ. აქ იყვნენ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები ანდრეევი, ბელოვი, ქარმუხამედოვი, ბლიკი და მაინც, მასპინძლებს დიდხანს არ გამოუდიოდათ თამაში. პირველი ნახევარი მათ წააგეს კიდეც — 28:30.

შესვენების შემდეგ ცსკა-მ ბოლოსდაბოლოს ხელთ იგდო ინიციატივა. 33-ე წუთზე იგი წინ იყო მთელი 14 ქულით. დარჩენილ 4 წუთში რიგის არმიელებმა საგრძნობლად შეამცირეს სხვაობა, თუმცა დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩნენ — 61:67.

## ახალი ამბები

● პოდოლსკი, 18 ივნისი. აქაური ფიცარნაგი საბჭოთა ათლეტებისთვის საკმაოდ უხვმოსავლიანია. საკმარისია ითქვას, რომ პოდოლსკში დამყარდა 19 მსოფლიო და 30 საკავშირო რეკორდი. ვ. იაკუბოვსკის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდებზე ჩვენ უკვე გატყობინებდით. დავუმატებთ, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, ასე ვთქვათ, ხელმოცარული ძალოსნები, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებში ვერ მოხვდნენ და გულს ამით იმშვიდებდნენ — იქნებ რეკორდები დაკამყაროთო. მონაწილეთა შორის იყვნენ სახელმოხვეჭილი ათლეტები — ოლიმპიური ჩემპიონი ბ. სელიცკი, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ა. გოლუბოვიჩი დ. რიგერტი (ყველა — საშუალო წონა), გ. ჩეტინი (მჩატე), ნ. ნოგაიცევი (მსუბუქი), ი. კოზინი (მძიმე) და სხვ. ნაჩვენები იქნა საკმაოდ მაღალი შედეგები. ასე მაგალითად, ჩეტინმა სამჭიდში 360 კგ დააგროვა, რიგერტმა — 490, ხოლო კოზინმა პირადი რეკორდი დაამყარა — 532,5 კგ. მსოფლიო რეკორდის დამყარება სცადა ნოგაიცევმა, რომელმაც 146,5 კგ აჭიმა. მაგრამ ორმა საერთაშორისო არბიტრმა მას წონა არ ჩაუთვალა და ძველი რეკორდიც, რა თქმა უნდა, ხელუხლებელი დარჩა.

● მიუნხენი, 18 ივნისი. ციგურებით სწრაფრბენის საერთაშორისო კავშირის აქ მიმდინარე კონგრესმა დაამტკიცა 1972 წლის ჩემპიონატების ვადები: სწრაფრბენა ვაჟები — ევროპის ჩემპიონატი (22-23 იანვარი, დავოსი, შვეიცარია); მსოფლიო ჩემპიონატი (19-20 თებერვალი, ოსლო, ნორვეგია); ქალები — ევროპის ჩემპიონატი (15-16 იანვარი, ინცელი, გფრ); მსოფლიო ჩემპიონატი (4-5 მარტი, დევენტერი, ჰოლანდია); ციგურებით სწრაფრბენის საერთაშორისო კავშირის პირველობა სპრინტში — 26-27 თებერვალი (გეტებორგი, შვეცია); ფიგურული ციგურაობა — ევროპის ჩემპიონატი (10-15 იანვარი, სტოკჰოლმი, შვეცია); მსოფლიო ჩემპიონატი (6-12 მარტი, კალგარი, კანადა).

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

### თბილისის სპორტული ცხოვრება

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. დღეს: ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). დასაწყისი 12 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ციხკარი" (სიღნაღი). დასაწყისი 17 ს. „ისნის" სტადიონი. „ისანი" (თბილისი) — „ენგური" (ზუგდიდი). დასაწყისი 17 ს. 30 წ.